№ 14. 21 ივნვარი, ბარასკევი. 1866—1883 21 ივნვარი, ბარასკევი. № 14.

რედაქცია

გოლოგანის ბრაუსვექტზე თვ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროებაის“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთ კაპეიკი, ასოებისაგან ლით ასოზე ნახევარი კაპეიკი, ჩვეულებრივის ქალაქ სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კვლ დაუბრუნებს ტანჯს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკეა ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა 1883 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

“დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა ⁄ წესით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

რედაქციას იმედი აქვს, რომ ზოგიერთ ახალი თანამშრომლებისა ⁄ სხვა დონისძიების შემწეობით, ამა წლიდამ გაუმჯობესოს თავის გაზეთი ⁄ ისეთი ცვლილება შემოიღოს იმის გამოცემაში, რომლისთვისაც მკითხველნი კმაყოფილნი დარჩებიან.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავინის პროსპექტზე, თ. ივ. ჯ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქუთაისში:—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში:—ლევ. მჭედლიშვილთან, საკუთარს სახლში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ Въ редакцію „Дроэба“.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით:	9 მან.	სამის თვით	3 „
ნახევარის წლით	5 „	ერთის თვით	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი თუალი ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი ⁄ გვარი ⁄ საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწეროს.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 23 იანვარს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

ეზის დაბნელება

საქართველოში

კომედია 3 მოქმედ. ზ. ანტონოვისა.

დასაწყისი 7½ საათზედ.

ტელეგრამა

(„ნოვოე ვრემიას“ სატელეგრაფო სააგენტოსა.)

სამშაბათ გარეთიდამ

19 იანვარს

პარიზი. ლენერალი ბიდვო და ადმირალი ჟორეგიბერრი ისევ მინისტრებად არიან, სანამ ამათ მოადგილეს დანიშნავდნენ. დიუკლერკ უკვედ არის.

ბერლინი. დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე მიეგზავრება შტუტგარტში და იქიდამ დაბრუნდება 28 თებერვლისათვის, რომ დესწროს გერმანიის ტახტის მემკვიდრის 25 წლის დაქორწინების დღესასწაულზე.

რუსეთიდამ

19 იანვარს.

პეტერბური. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა ნოკოლაევის საკავალერიო სასწავლებელში.

გუშინ დაბრუნდა პეტერბურგში უტხო ქვეყნების საქმეთა მინისტრი გირსი.

გუშინვე ჩამოვიდნენ პეტერბურგში ჭერტოგი და ჭერტოგინა ედინბურგისა, რომელთაც პეტერბურგის სტანციაზედ მეგებნენ ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა.

ჩვენი თავად-აზნაურობა და ერობა

ტფილისი, 20 იანვარს.

შრომობს თუ არა ის კომისია, რომელიც იყო შარშან ამორჩეული ჩვენი თავად-აზნაურობისაგან „ერობა“-ზე მოსალაპარაკებლად? ნუ თუ ეს კომისია ისეთივე გულ-გრილობით მოეკიდება ამ საქმეს, როგორც სხვა კომისიები?—ეს კითხვა დავადგინეთ ჩვენ ამას წინად „დროებაში“.

ამაზე შემდეგი პასუხი მივიღეთ კომისიის ერთი წევრისაგან.

„ტფილისის თავად-აზნაურობის კრებამ, იწერება ეს პირი, შეხედა ერობას ცუდის თვალით, თუმც კარგად არც კი იცოდა, რა არის ერობა. მიზეზი ამისა ბევრი იყო და უმთავრეს მიზეზად კი ჩაითვლება ის, რომ „ზემსტვო“ (ერობა) დაადარეს „ზემსკის“ გარდასახადს, რომელიც ეხლაც არსებობს. თავად-აზნაურობას ეგონა, რომ „ზემსტვოს“ შემოღება ნიშნავს „ზემსკის გარდასახადის“ მომატებას და გაფრცელებას, გლეხების გარდა, თავადაზნაურობაშიაც.

„თუმცა შარშანდელ კრებაში, ახალ-გაზდობა უმტკიცებდა იმას, რომ თუ ნამდვილი ერობა შემოვიდა, „ზემსკის გარდასახადს“ სრულებითაც არ ექმნება ის მნიშვნელობა, რომელსაც ეხლა ათვისებენ, მაგრამ კრება არავის ყურს არ უგდებდა და ისეთ გვარად ამოირჩია ამ საგნისათვის კომისიები, რომ მაშინვე შეიძლებოდა მიმხვდარიყავით იმათ უნაყოფობას.

„კომისიებში ამოირჩიეს უმეტეს ნაწილად ისეთნი პირნი, რომელნიც ერობის წინააღმდეგ იყვნენ. კომისიები ამოირჩიეს ბევრი, თითო უეზდისთვის ცალკე. ამათ წევრებათ დანიშნეს პირნი, რომელნიც სცხოვრობენ ოცს და ორმოცს ვერსტის სიშორეზე ერთი ერთმანერთისაგან. კომისიებს არა ჰყავთ თავსმჯდომარეები და ამიტომაც იმათ არაევინ უძახის კრების შესადგენად.

„ეველა ეს ისეთი ნაკლულევანებაა, რომელიც მოსალოდნელი იყო“.

ამას გვწერს კომისიის წევრი და ჩვენც მწუხარებით ვეთანხმებით. ჩვენს საზოგადოებას ვერ გაულვიძია მაშინაც კი, როდესაც არის იმედი იმის სურვილის დაკმაყოფილებისა. შიმდობა—ცუდი ამხანაგია და ძილი კი—უარესი.

ჩვენ შევიტყეთ, რომ კომისის ერთი წევრთაგანი, ბ. თუმანიშვილი არდგენს ერობის წესდებას, რომელიც იქნება შეთანხმებული როგორც რუსეთში შემოღებულ ერობის წესდებასთან, ისე ჩვენის ქვეყნის მოთხოვნილებასთან.

სასურველია, რომ ეს საქმე ჩქარა დაბოლოდეს, რომ ახლად შედგენილი წესდების განხილვას გულ-მოდგინედ შეუდგნენ კომისიის ის წევრები, რომელნიც მტრულის თვალით არ უყურებენ ყოველ ახალ საქმეს ჩვენში და ამ გვარად შეესებული წესდება გაიგზავნოს პეტერბურგში, ქალაქნოვის კომისიაში, რომელიც, როგორც გაზეთები აცხადებენ, დიდის სიამოვნებით მიიღებს ყოველს წერილს შესახებ ადგილობრივ თვით-მართველობისა.

რაც შეეხება თავად-აზნაურობის არა ჩვეულებრივ კრებას, რომლისთვისაც უნდა წარედგინა კომისიებს თავის პროექტი, ჩვენ გვგონია, რომ ამ არა ჩვეულებრივი კრების უკან სიარული საქმის გაჭიანურება იქნება. გამოცდილება ვისაც კი აქვს, ის ბევრს არაფერს უნდა მოელოდეს ამ მხრით ჩვეულებრივ და არა ჩვეულებრივ კრებებს თავად-აზნაურობისას.

მასწავლებელი და მისი მოვალეობანი*)

გამგეობამ ანუ თამამობამ არ უნდა გადააჭარბოს; საჭიროა მასწავლებელმა იცოდეს თავისი თავის შემაგრება და დაკვირვებითი განსჯა ჰქონდეს თავის მოქმედებისა; წინაალმდეგ შემთხვევაში იგი მალე გამოვა მოთმინებიდამ, აპილპილდება და ამას, რასაკვირველია, მოსდევს არასასიამოვნო შედეგები.

„მკაცრი განკიცხვა შაგირდებისა რაც შეიძლება იშვიათი უნდა იყოს, თუ კი მასწავლებელს ჰსურს, რომ მან სასურველი გაელენა იქონიოს. მასწავლებელის გაჯავრებას, საფუძვლიანსაც კი, ძალიან ცუდი გაელენა აქვს შაგირდებზედ. თუ მასწავლებელი ბუნებითვე აგი არ არის, მაშინ იგი სიანჩხლეში წარმოთქმულს სიტყვებს თავის დღეში ვერ აღასრულებს. მაგრამ თავ-დაჭერილი განკიცხვა კი ძვირფასი იარაღია. ბადილი და მუქარა, როდესაც ცხადად სჩანს, რომ მათი სისრულეში მოყვანა შეუძლებელია, ნიშნავს იმას, რომ შენ უმტკიცებ ბავშვებს შენს სისუსტეს. არაფერი არ აენებს ავტორიტეტობას ისე ძრიელ, როგორადაც მეტის-მეტი სილაღე ანუ ამპარტავნობა; ეს არის ნამდვილი საბუთი სამასხარაოდ გახდომისა“.*)

მღვიძარეობა ანუ ფხიზლობა მასწავლებლისათვის არა-ნაკლებ საჭიროებას შეადგენს. დახელოვნებული მასწავლებელი გაკვეთილის დროს არც ერთს შაგირდს არ დასტოვებს უყურადღებოს; ვინც ვერ მოახერხებს ჯეროვანი ზედამხედველობა იქონიოს ბავშვებზედ კლასის დროს, ის ფრიად შესაბრალისია: მის თვალ-წინ ზოგი სიცილს დაიწყებს, ზოგი ლაპარაკს, ზოგი ფანჯრებისაკენ ყურებას, ზოგი თვლემას მოჰყვება, ზოგი სიმღერას, ზოგი რახუნს და ვინ იცის რა ეაიეაგლახი და ღრიანტელი არ ასტყდება კლასში. წესიერება (დისციპლინა) კლასში მით უმეტესად საჭიროა, რომ თუ იგი არ არის, მასწავლებელს თავისი ღვაწლი სრულიად ამოდ ჩაუვლის: შაგირდები გართული იქნებიან თავიანთი ცელქობით და მაშასადამე ვერ შეისმენენ მასწავლებლის განმარტებას და დრო და ხანი ტყუილ-უბრალოდ წაუვათ. ფხიზლობა და თვალ-ყურის ჭერა საჭიროა გარდა კლასისა, გარეთაც და ნამეტნავად ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც კი ბავშვებისაგან მოსალოდნელია შეუფერებელი საქციელი. ხმაურობა და დაუწყნარებელი მოძრაობა საზოგადოდ ყველა ყრილობაში აუცილებელია და ბავშვებს ხომ, ალბა, რაღა დაეძრახებათ. შეკრებილებაში ურთიერთი გავლენა ზედ-მოქმედობს: აქ თვითოეულს წევრს თითქო ხასიათი ეცვლება, ახალი თვისება ეძლევა და ცალკე კი სულ სხვა სურათს წარმოადგენს. ამიტომაც მასწავლებელმა არას დროს გონებიდგან არ უნდა განიშოროს, რომ მას მართებს წესიერება დაიცვას.

ძვირად დასაფასებელია აგრეთვე გულ-მოდგინებითი, სვინიდისიანი აღსრულება მოვალეობისა. ბეჯითობა საქმისადმი მასწავლებლის მხრივ ორის გზით აღმოჩნდება: ა) ყოველს გაკვეთილისათვის მომზადებიდგან და ბ) შა-

*) ის. „დროება“ № 13.

*) *А. Бэнъ.* («*Наука воспитанія*», *1881.*

გირდების ყველა ნამუშაარის ყურადღებით გადაშინჯვიდგან. ჯერ პირველად, სანამ კლასში შეეა, მასწავლებელმა თვითონვე უნდა იცოდეს—თუ რა და ან როგორ უნდა ასწავლოს შაგირდებს; იგი განსაზღვრავს გაკვეთილისათვის მასალას; ირჩევს საშუალებას, რომლის შემწეობითაც უფრო უკედ შეიძლება გარდაცემა; ჰფიქრობს, თუ როგორ შეიძლება გადაბას ახალი მასალა ძველსა და რა ლონისძიებით გაუადვილოს ბავშვებს გარდაცემულის შეთვისება. ამ გვარად მომზადებული მასწავლებელი თამამად შედის კლასში, სიამოვნების ალმფული ურბენს სახეზედ და მჭევრ-მეტყველურად ესაუბრება შაგირდებს; უკანასკნელნიც უნებლიედ ბეჯითად და გულ-მოდგენით ისმენენ საუბარს და მასწავლებლის ყოველი სიტყვა ღრმა ნაკვალევს სტოვებს მათ გონებაში.

დაუზარებელი უნდა იყვეს მასწავლებელი რვეულების გასწორებაშიაც. ეს სამუშაო კეთილ-სვინიდისიანი მასწავლებლისათვის არამც თუ სძნელია, არამედ ადვილი და სასიამოვნოა. თუ კი მე გულითა მსურს ჩემი შაგირდების წარმატება, ისიც სასურველი და სასიამოვნო იქნება ჩემთვის, რომ ყოველ დღე ვხედავდე რამდენს ანუ როგორ ასწორებენ ეს შაგირდები, რა ნაბიჯით მიდიან წინ, ვინ რჩება უკან და ვინ უფრო მატულობს. რვეულებში ეს ცოტად თუ ბევრად ცხადადა სჩანს ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ მასწავლებლის აღტაცებას, როდესაც ხედავს, რომ ყველამ ანუ მომეტებულ ნაწილმა შაგირდებმა უშეცდომოდ დასწერეს გაკვეთილი და მით დაამტკიცეს, რომ მათ საფუძვლიანად შეითვისეს ნასწავლი!

მაშინ იგი ბავშვივით შეჰხარის საკუთარს გამარჯვებას, ბედნიერად რაცხოვის თავს და ჰგრძნობს უმაღლეს ზნეობით დაჯილდოებას, რომელსაც არავითარი მატერიალური საჩუქარი არ შეედრება. მაშინ ძალებში სიმხნეე უძლიერდება და ერთ-ორად შეუყვარდება თავის მოვალეობა.

სულ სხვა არის გულ-გრილობა, დაუდევნელობა საქმისადმი. დაუდევნელი მასწავლებელი ვერაფერში ვერა ჰხედავს მიმზიდველს ძალას, ყველა სძულს, ყველას ერიდება და მალე სიცოცხლეც უმწარდება. ბავშვების გაჭირიან ბუნებას, რასაკვირველია, ეს არ გამოეპარება და ამისთანა მასწავლებელს ჯეროვან პატივსა სცემენ: ყოველ-თვის ჭკილავენ, აღარ ეპუვებიან, და ამ გვარად იგი ჰკარგავს მთ წინაში ყოველს ზნეობით მნიშვნელობას.

ბავშვებისადმი კაცობრიული მოქცევაც ერთს ღირსებათაგანს შეადგენს მასწავლებლისათვის. მიუკარებლობას იდგილი არ უნდა ჰქონდეს. ყველა შაგირდს დაუბრკოლებლივ უნდა შეეძლოს ბაასი მასწავლებელთან, მეტადრე სასწავლო საგნების შესახებ. შაგირდები თავის მასწავლებელს მტრად კი არ უნდა სთვლიდნენ, არამედ მიაჩნდეთ მეგობრად, მხოლოდ ისეთ მეგობრად კი, რომელიც ყველაზედ უფროსია, სუყველასათვის სამაგალითოა და ცოდნითა, გონებითი და ზნეობითი გახსნილობით ყველაზედ მაღლა სდგას. ყველა მასწავლე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მასწავლებელი მათი კეთილის მომსურნე, რომ იგი დიდის სიამოვნებით მიუგებს მათ კითხვაზედ პასუხს, თუ კი მიმართავენ და არა ფეხების ბრაგუნით გაისტუმრებს უკან.

კარგი მასწავლებელი შაგირდების სიმრთელეზედაც ზრუნავს. დოქტორი ბოკის აზრით, არაოდეს ადგილი არ უნდა ჰქონდეს იმ მასწავლებელს, რომელსაც არ ესმის, თუ როგორ მოეპყრას შაგირდებს გიგიენურის მხრივ. *) ფ ზიოლოგიის, ანატომიის და ცოტაოდენი ექიმობის ცოდნა მასწავლებლისათვის უმნიშვნელო არ არის. ჯან-მრთელობა ისეთი საჭირო საგანია კაცისათვის, რომ უიმისოდ ყოველი ცოდნა უსარგებლოა; შაგირდებს არ შეუძლიანთ მისი დაფასება და ამიტომ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. მასწავლებელმა ეს გარემოება მუდამ მხედველობაში უნდა იქონიოს და ჯეროვანად ათვალიეროს ბავშვები წერის, კითხვის, გალობის დროს და საზოგადოდ ჯდომა-დგომის და მუშაობის დროს. ბარდა ამისა, ადვილი მოსალოდნელია, რომ ასოთა ასი ყმაწვილების გუნდში ერთი მათგანი უცებ უქვეფოდ გახდეს: ან გული აერია, ან მუცელი ასტკივდა, ან ხელი მოიჭრა, ან ცხვირიდამ სისხლი წავარდა და ვინ იცის რამდენი სხვა რამ უფრო საშიში ხიფათი არ მოსდეს ბავშვის დაუდგრომელს ბუნებას. ნუ-თუ მასწავლებელს თვითონვე არ ესიამოვნება, რომ მაშინვე ხელი მიაშველოს და თავისი შაგირდ-რაიმე უბედურებისაგან დაიცვა?

დიდი განსაკუთრებია მასწავლებლის თავისუფალ დროს ცუდაობა; ამან იცის საზიზღარი მოწყენილობა; იგია წყარო ყოველი შავი, მდაგვიანი ფიქრებისა, რომელნიც განუწყვეტლივ ეხვევიან კაცს თავზედ და ერთს წუთს მოსვენებას არ აძლევენ. მაგრამ საქმეში გართობა, მუდმივი მეცადინეობა სულ სხვა რამ არის: საქმიანობა, სხვა-და-სხვა გვარი ვარჯიშობა ყოველთვის მჭმუნვარების გამქარველია და კაცის გულის დამამშვიდებელი. ზომიერი სიმხიარულე შეუდარებელი თვისებაა მასწავლებლისათვის, რადგანაც იმას აქვს საქმე ბავშვებთან და ბავშვის ბუნება ამას თხოულობს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

*) *Бокъ. «Практич. наставленія объ умств. нравст. и физич. осп.»*

ДЕЦИЗРИ

ბევრს უნახავს და მოსწონებია ქუთაისში ბ. სტრუიცკის შენობები თავისი ეკლესიით და ბაღით. ბევრს ექმნება წაკითხული გაზეთებში ისიც, რომ ბ. სტრუ ცკის ამ ქონების შეწირვა სურდა მომავალ ქუთაისის სემინარიისათვის. ეს სასიხარულო მოლოდინი აღსრულდა. ღირს-პატივსაცემმა ბატონ სტრუიცკიმ გარდასცა ეპარქიის მთავრობას მრთელი ეს მამული სახლებით და ეკლესიით იმ პირობით, რომ ეკლესიაში წირვა იყოს ხოლმე—როგორც შტატის ეკლესიაში. ყველა ეს შენობები და მამული ოთხმოცა-ათას მანეთად ღირს, თუ მეტად არა. ამ ადგილისეე გვერდზე აძლევს ქალაქი ადგილს მომავალი სემინარიისათვის საკულიერო წოდებასო.

ამას წინედ სასულიერო მთავრობას მოსთხოვა მთავარ-მმართველმა ცნობა, თუ რა შემწეობა იქმნება ხაზინიდამ საჭირო ქუთაისში სემინარიის დაარსებისთვისო. სასულიერო მთავრობამ აცნობა და ითხოვა სახლის ასაშენებლად 85 ათასი მანეთი ერთ დროებითად და ყოველ წელს შემწეობა 18 ათასი მანეთისა. საქმე ისე მიდის, რომ ვგონებთ ღირსოს მალე სემინარია ქუთაისსაო.

ჭეშმარიტად ეს შეწირვა ღირს სახსოვარი საქმეა, რომელიც საუკუნოდ უკვდავად დარჩება ჩვენში არა თუ პატივცემულის სტრუიცკის მოსახსენებლად, არამედ მისაბაძველადაც. ძველს დროს ქართველობაში ხშირი იყო ქველ-მოქმედებითის საქმეთათვის შეწირვა თუ მამულებით და თუ ფულ-დ. ჩვენ მამა-პაპათ იცოდნენ საქართველოში მამულებით და თუ ფულად შეწირვა სარწმუნოების გაურჩელად, მაგალითად ამ ჟამად სომეხთ ეკლესიის სემინარიას მამულები აქვს ოლთაჭალაში, რომელიც წელიწადში ხუთას თუმანს შემოსავალს იძლევა და შეწირულია ბ ეის აბილახვრისაგან წასულ საუკუნეში. ამისთანა მ-კალითები, ღმერთმა ნებოს, გახშირებულიყოს და პატივცემულ სტრუიცკისთვის მიებაძნოთ.

* * *

ერთი კარგი განკარგულება მოახდინა უწმინდესმა სინოდმა წარსულ წელში სასულიერო სასწავლებლის ხარჯების შესახებ. დაინიშნა კომიტეტი ყველა ეპარქიებში, რომელსაც მინდობილი აქვს თვალ-ყური ადგენოს სასწავლებლების შესავალ-გასავალს. რევიზიას მოახდენენ, როდესაც უნდათ. ამ საშუალებით თუ სადმე ბოროტ მოქმედებას ჩადიოდნენ სასწავლებლებში, ეჭვი არ არის, ცოტა შემცირდება იგი.

მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ეს განკარგულება ჩვენ მხარეს არ შეეხება, აქნობამდისინ ვერ მოაღწია ამ კანონის ძალამ ჩვენამდის.

* * *

გაზეთს „მშკ.“ სწერენ სტამბოლიდამ, რომ ადგილობრივ პატრიარქს ნერსესს უთხოვნია სულთანისთვის არზრუმის გუბერნატორად სომესი დაინიშნოსო.

* * *

„დროებაში“ შარშან მოხსენებული იყო ამბავი ელიზავეტპოლის (ბანჯის) რკინის გზაზე ჯანდარმის გალახვისა. ამბავი შემდეგ რუსულ გაზ. „ბოლოსშიაც“ გამოჩნდა. ამ საქმის თაობაზე უმაღლესის ბრძანებით გამოგზავნილ იქმნა ადამსაძიებლად გენერალ-ადიუტანტი როზენბახი. ახლა „ურიდიკული მიმოხილვა“ გვაცნობებს, რომ გავლილ კვირას გენერალ-ადიუტ. როზენბახი უკანვე დაბრუნებულა პეტერბურღში. „როგორც გვაცნობებენო, ამბობს „ურ. მიმოხ.“, დაწერილებითი ცნობები გაზეთებისა ყველა არ გამომდგარა ნამდვილიო. მაგალითად ზოგიერთი პირები „ბოლოსში“ მოხსენებულები და მათში ბანჯის გუბერნატორი, იმ დროს რკინის გზის სტანციაზე არც კი ყოფილანო“.

* * *

ამ ჟამად პეტერბურღში უკვე დაწყებულია საქა ქავკასიის აქციათა მხრის ტრანზიტის შესახებ დანიშნულის კომისიისაგან. დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე თავსმჯდომარეობს ამ კომისიას.

„დროების“ კორესპონდენციები

რაჭის მაზრა, 9 ივნ. **ს.** როგორც იქნა გავისტუმრეთ ძველი წელიწადი; იმან მოგვანატრა და დაგვალოცვინა ის ძველი წასრული წლები, რომლებსაც ამის დადგომის დროს წყევითა და შეჩვენებით ვიხსენებდით ხოლმე. ხალხმა, როგორც მის მისგან მოტანილს კეთილ-დღეობასა და სარგებლიანობას შეეფერებოდა, წესიც აუგეს: წყველა-კრულვით და ლანძღვა-გინებით გაისტუმრა საიქაოს გზისაკენ.

საზოგადოდ ჩვენი ხალხი არც ერთს დღესასწაულს არ ეგებება ისეთის აღტაცებულის მხიარულებით და განუსაზღვრელის იმედებით, როგორც ახალ წელიწადს. წლის გამოცვლას ისეთი დიდი გაელენა მოუპოვებია ჩვენი ხალხის გონებაში, რომ არა თუ მოზარდი თაობა, თვით საფლავის კარებზედ მიწევნილი მოხუცაც კი რაღაც აღმტაცი იმედებში შედის, მოელის თითქო გაყმაწვილებას, მოხუცებულობის მძიმე ტვირთის მოხსნას და ქვეყნიურ ცამოთხეში კიდევ ხანგრძლივ მოქალაქობას! წლს კი ამ გვარ სურათებს ეღარ ეხედავთ, მეტადრე მდაბალ ხალხში; წასრული მჭლე და ყოველ გვარად უნამყოფო წლისაგან დაქანცულ-ღონე-მოდილი ძალიან უხალისოდ გადმოვიდა ხალხი ახალს წელში; მისს შუბლზედ ეღარ გამოჩნს ჩვეულებრივი მხიარულებისა და იმედების ნაპერწკალი.

წასრული წლის მოუავლობამ და საკვების შემოკლებამ ძალიან დააღონა ჩვენი ხალხი. ადვილ მადლობა ღმერთს იმერეთის ზოგიერთ კუთხეებში გვარიანი მოსავალი იყო სიმიდისა და ამან საკმაოდ მოუმართა ხელი რჩისა და ლეჩხუმის მაზრების დაბალ ხალხს. რაკი დარწმუნდენ, რომ მოთავე არაევინ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც შემოეტანა მაზრაში საჭირო საკვები, თვითონ იწყეს დენა ქუთაისისაკენ. ვისაც ჰყავდა ცხენი და ან შეძლება ვისაც ქონდა ყიდ

ვისა, გაიჩინეს ცხენები, და ვისაც ამის მოხერხება არ ჰქონდა, გაუძღვნენ წინ თავიანთ თითო ულელ-ხარებს და გაუდგნენ ქუთაისის გზას. წარმოიდგინეთ მდგომარეობა საწყალი გლეხისა, რომელიც ოთხმოცი, ასი ვერსის სიშორეზედ გამგზავრებულა თავის დამჭლევებული ულელეულით ხუთი-ექვსი საწყავო საკვების სასყიდლად, თუ რამდენი ტანჯვა წვალება უნდა გაიაროს სანამ დაბრუნებულა მიაღწევდეს თავის ღარიბ ოჯახში და ორიოდე საწყავო სურსათს მიუტანდეს თავის სახლობას.

წ. სრული წლის „დროების“ 236 №-ში იყო რამოდენიმე სიტყვა დაბეჭდილი ამ საგანზედ, და განსაკუთრებით მაზედ, თუ რა დიდ დაბრკოლებას აძლევდა ზემო-ხსენებულ მოგზაურებს რიონის სახელმწიფო გზაზედ ზოგიერთს ადგილებზედ უხიდობა და უბოგირობა: ცხენები ეხოცებათ, ურმები ელეწებათო და სხვა-და-სხვა, ამბობდა კორრესპონდენტი. და ყველა ეს სწორეთ ნამდვილი ჭეშმარიტება იყო და არის დღესაც. ჩვენ თვითონ არა ერთი შემთხვევის მოწამე ვართ, რომ ამ მხრით მრავალი დაბრკოლება და დიდი ზიანიც მისცემია მოგზაურ ხალხს. რაკი ეს გარემოება ბეჭდში გამოვიდა, ჩვენ დიდი იმედი მოგვეცა, რომ ამ დაბრკოლებას მალე აიცდინეენ თავიდამ მოგზაურ ხალხსა; მაგრამ მას შემდეგ ბარე ორმა ოთხფეხმა გაჭიმა ხრამებში ფეხები და ხიდ-ბოგირები ისევ იმავე მდგომარეობაშია. ამბობენ, ეხლა ვითომც ხსენებული ხიდების გაკეთება აიღოსთ ტორგით ორს ქუთაისელ ვაჭარს. მაგრამ რაღა დროს, თუკი პეტრეს მოსვლამდის პავლეს ზურგზე ტყავი აღარ შერჩება!

უამისოდაც ძალიან გაუჭირდებათ ჩვენს ხალხს აწი ქუთაისიდამ საკვების ზიდვა, რადგანაც ახალმა წელმა გვარიანად გვიფუშქაშა თოვლი რომლის წყალობით ჩვენებური ურმით მოგზაურობა ძნელდება ხოლმე და სამართლიანობა თხოულობს ეს დაბრკოლება, უხიდობა, მაინც მალე ავაშოროთ მათ.

ყველაზედ უფრო საგრძნობელ დამაზარალებელ ბეჭედს საკვების შემოკლება ასვამს ხვანჭკარისა და ტოლის გლეხთ საზოგადოებას: ერთი უმთავრესი საშუალება ამათი, რომლის შეოხებითაც ისტუმრებდენ სახელმწიფო გარდასახადს, მღვდლის დრამას, ნაბატონევის გარდასახადს და სხვა ყოველ გვარ სავლეხო გარდასახადს, იყო მხოლოდ ღვინო, რომელსაც ჰყიდდნენ კვირიკობ-მარიამობისთვეში, კასრს ოთხ-ხუთ მანეთად და ბევრს შემთხვევაში მეტადაც. წელს კი ეს ერთად-ერთი ღონეც გამოეცალათ ხელიდამ: ვისაც ჰქონდა გასასყიდად ღვინოები, რაკი საკვების ფასი ვერსად მოახერხეს, შამოდგომაზედვე გაჰყიდეს, რასაკვირველია, მასამედ ფასად; ზოგმა პირ-დაპირ გასცვალა საუკეთესო ღვინოები სიმიდში, და ამ ნაირად წაუვიდათ ხელიდამ. ამის გამო ზემო-ხსენებულ საზოგადოების მცხოვრებლებს დიდად გაუჭირდებათ ამ წელში გარდასახადების მოხერხება, თუკი რომელიმე მხრით შემწეობა არ მიეცეთ-რა.

დ. ონიდამ სასამართლო რეზიდენციების გადმოტანას ხიდის-კარს ქვემოდ ეხლა გადაწყვეტილად ამბობენ. როგორც მოგეხსენებათ, ამას წინედ შეიტანეს ამ საგანზედ თხოვნა ხიდის-კარ-ქვემოდ და ბევრმა ზემოდ მცხოვრებლებმაც, რომ სასამართლოები დაფუძნებულიყო შუა ადგილზედ; და ამ შუა-ადგილად აღიარეს ს. ამბრალაური. ეხლა, როგორც ისმის, გადმოტანა გათავებული უნდა იყოს, მხოლოდ რომელს ადგილზედ უნდა დაფუძნდეს ამის კითხვა მიუციათ მაზრის უფროსისათვის. ამ უკანასკნელს კი ისეთი ადგილი დაუნიშნავს, რომელიც საზოგადოებისათვის დ. ონზედ ბევრად უფრო დაშორებული და მიუვალი არის: ამბრალაურის მაგიერ დაუნიშნავს მას ს. ნიკორწმინდაში შაორი. ამ გარემოებამ აალაპარაკა ეხლა გადმოტანის მოსურნე პარტია და, ისმის, თხოვნაც უნდათ მისცენ, რომ მაზრის უფროსის აზრი არიქნეს ამ საგანზედ დამტკიცებული, რადგანაც შაორზედ დაბინავება სასამართლოებისა უფრო ძნელია და მოუთავსებელი საზოგადოების უმეტესი ნაწილისათვის, ვიდრე ონში; ამბრალაურზედ უფრო მოხერხებული ადგილი სასამართლოების დასაფუძნებლად რაჭის მაგრას არა აქვს. მაგრამ რომელი მხრისაკენ დასძლევს სასწორი—ამაზედ ბაასი ჯერ ადრეა. ჩვენის აზრით, რაკი გადმოტანა გათავებულად ჩაითვლება საზოგადოება და მისი უფროსიც მოვალეა უფრო აუჩქარებლად და მიუდგომელად მოიფიქრონ ამ საგანზედ, თავი დაანებონ ჩვეულებრივ პარტიობას და ისე უანგარო პატიოსანი მოსაზრებით აირჩიონ ზემოხსენებული უწყებების დასაფუძნებელი ალაგი, რომ, ზოგიერთი კერძო პირების ინტერესების დაკმაყოფილებისგამო, არ იტანჯებოდეს უმეტესი ნაწილი საზოგადოებისა.

ძლივს მოვესწარით დ. ლაილაშში, ლეჩხუმის მაზრაში, აფთიაკის გახსნას; ყველას გვიხაროდა ეს გარემოება, მაგრამ მალე გაგვიქრა ხელიდან: ექვს იანვარს, ღამის თორმეტ საათზედ გაუჩნდა ცეცხლი იმ სახლს, სადაც აფთიაკი იყო გამართული და სრულიად დაიწვა შენობა და მთელი მასში წყობილი წამლები. ამბობენ, წამლები სტრახში ყოფილა შეტანილიო.

თ. ქაისოსრო გელოვანი.

ლეჩხუმის მაზრა, 17 იანვარს. თითქმის ყოველ წლობით ეხედავთ შინისაკენ დაბრუნებულს ატირებულ მშობლებს, რომელთაც ვერ მოუხერხებიათ, რომ თავიანთი შვილები რომელიმე სასწავლებელში მიეცათ. ბაუწყნარებლად, ვთხოულობთ სასწავლებლების მომატებას. ხშირად ვკითხულობთ ხოლმე „დროებაში“ კორრესპონდენციებს, ამა და ამ მაზრაში მაზრის უფროსის ან იმის თანა შემწის დახმარებით ამ და ამ სოფელში გაიხსნა სასოფლო სკოლა, რომელსაც მთელი საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგებაო და ამის წამხედვარე, მეორე საზოგადოებაც ეპირება სკოლის გახსნასო.

სასიხარულო და სასიქადულო მოვლენა არის ჩვენში ამისთანა ამბავი. ქუთაისის მაზრის უფროსის თანა შემწეს ბატ. ალშიბაიას, სხვათა შორის დიდი მადლობა ეთქმის, რადგან ამ გვარი ღვაწლი თითქმის ყველაზე უფრო მეტი იმას მიუძღვის; მაგრამ ამასთანავე არ შემიძლია არ ვსთქვა, რომ უკეთუ თვითონ საზოგადოებას არ ესმოდეს სწავლა-განათლების მნიშვნელობა და არ იყოს დარწმუნებული მაზედ, რომ ეხლანდელ დროში პირველი საქმე არის სწავლა-განათლება და არა, უწინდულად, თოფ-იარაღი, მწევარ-მეძებარი და მიმინო-მწყერი, მარტო ბატ. ალშიბაიას ქადაგება ვერას გაჰჭრიდა.

რასაკვირველია, ამ საქმეს წინ წამძღოლიც უნდა და ამისათვის ეთქმის დიდი მადლობა იმ კაცს, რომელიც დაუღალავად შრომობს ამ საქმისათვის, და რომელსაც კიდევაც მოუტანია ნაყოფი.

რამდენადაც სასიხარულო და სასიქადულო არის ჩვენთვის, მაგალითებრ, ქუთაისის მაზრაში სკოლების გახშირება და სწავლა-განათლების საქმის ფეხზედ დაყენება, იმდენად სამწუხარო და სასირცხოა ლეჩხუმის მაზრის სკოლების და სწავლა-განათლების საქმის მდგომარეობა.

როგორც ზემოდ მოგახსენეთ, თითქმის ყოველის მხრიდგან მოისმის სურვილი სწავლა-განათლებისა, მოგვდის ამბები ახალი სკოლების შემომატებისა; ლეჩხუმის მაზრაში კი ამ საქმეს მიუძნია და სკოლების შემომატების მაგიერ ეხლანდელ სკოლების გაუქმებას თხოულობენ. თითქმის წელიწადი არ გავა ისე, რომ მაზრის უფროსს არ შეუვიდეს რამდენიმე თხოვნა სკოლის გაუქმებაზედ. ამნაირად იტანჯება სწავლა-განათლების საქმე ლეჩხუმის მაზრაში.

ლეჩხუმი, მოგეხსენებათ, ქუთაისის გუბერნიის ერთი მაზრათაგანია, რომელსაც აქვს შემოერთებული თავისუფალი სვანეთი. ლეჩხუმი განიყოფება ცამეტ საზოგადოებად და სვანეთი თერთმეტად. თვითონ ლეჩხუმში (სვანეთში ერთი სკოლაც არ არის) არის ერთი პირველ დასაწყისი სასწავლებელი და შვიდი სასოფლო სკოლა. ამ სასწავლებლებში, გარდა პირველისა, რომელშიაც იქნება ოც-დახუთ ყმაწვილამდის, ზოგში ძრიელ ცოტა რიცხვია მოსწავლეებისა, ზოგი სულ ცარიელია და საბრალო მასწავლებელი უსაქმოდ დაღოღიალობს.

რას უნდა მიეწეროს ეს სამწუხარო გარემოება? რა არის ამის მიზეზი?

პირველი მიზეზი ამისა, სამწუხაროდ, ის არის, რომ ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებლებში ასე არ არის გავრცელებული სწავლა-განათლების სიყვარული, როგორც ქუთაისის გუბერნიის დანარჩენ მაზრების მცხოვრებლებში. ლეჩხუმში, როგორც თავად-აზნაურობას, ისე გლეხობას მიუქცევიათ ზურგი სწავლა-განათლებისათვის და თავს არ იწუხებენ იმაზედ, რომ მათ შვილებმა ცოტაც არის მაინც სწავლა მიიღონ. სასიქადულოდ მიაჩნიათ, თუ მათი შვილები გამოვლენ კარგი ცხენოსანი, მსწრაფი და თოფ-იარაღის მხმარებელი. თორმეტ-თხუთმეტი წლის რომ შეიქნება აქაური ბავშვი, მაშინვე ცხენოსნობას და თოფ-იარაღს მოჰკიდებს ხელს.

აი, ამისგან წარმოსდგება, რომ ამათ, როდესაც ხანში შევლენ, აღარ შეუძლიათ სხვას რასმეს მოკიდონ ხელი. დღე და ღამე ცხენი და თოფ-იარაღი ესიზრმებათ, და ამისთანა კაცს, ერთი მიბრძანეთ, როგორ შეუძლია სახლში დარჩეს და მუშაობას მოკიდოს ხელი. ბოლოს, როდესაც, ამ გვარი უქმი დროს გატარებით, შემოაკლდებათ ცხოვრების საშვალება, მოჰკიდებენ ცუდ-კაცობას ხელს, რომლის მსხვერპლად ადრე თუ გვიან უნდა გახდნენ.

სამწუხაროდ, ამ გვარი მაგალითები ხშირი ყოფილა ლეჩხუმში და ბევრს კეთილშობილ ოჯახს ნახავთ გაუბედურებულს—ზოგს ქურდობისათვის და ზოგს სხვა გვარ ცუდ-კაცობისათვის. ერთი სიტყვით, იმის გამო რომ სწავლა-განათლებას არ ეძებენ ლეჩხუმლები, ცუდ-კაცობას გაუშლია მათში ფრთები და ამით ურიცხვი კეთილშობილიც და გლეხკაცობაც დაღუპულა.

ნათქვამია: „ერთი თხისკენ თქვი და ერთიც მგლისკენო.“ მართალია, ლეჩხუმლებს არა აქვთ დიდი სურვილი სწავლა-განათლებისა, მაგრამ ეს სამწუხარო მოვლინება ერთ გარემოებას მიეწერება:-აქაური სასოფლო სკოლები იმ ნაირ ნიადაგზედ არიან დაყენებული, რომ არა თუ იმათ ვისაც ძალიან სურვილი არ აქვს სწავლა-განათლებისა, არამედ სწავლის სამთლით მეძიებელსაც კი დაუკარგავენ ისინი სწავლის სურვილს. არც ერთი მათგანი არ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, ან როგორ უნდა დააკმაყოფილოს, როდესაც ვერ ნახავთ იმისთანა მასწავლებლებს, რომელთაც იცოდნენ ნამდვილი დანიშნულება და ან იყვნენ მასწავლებლობისათვის მომზადებულნი და ეს არის მეორე მიზეზი იმისა, რომ სასწავლებლები თითქმის ცარიელნი არიან, საზოგადოება არ თანაუგრძნობს სწავლა-განათლების საქმეს.

სასურველია, რომ ქუთ. სახალხო სკოლების დირექტორმა პატ. არლოვმა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება და როგორმე გააუმჯობესოს აქაური სკოლების მდგომარეობა.

ალ. გამრეკელი.

სოფ. ცაგერი.

განცხადებანი

„იმედი“

ქართული სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

1883 წელში

გამოვა იმავე პროგრამმით, სივრცით და მიმართულებით, როგორც აქამდის გამოდიოდა, და ახალის თანამშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომრისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრეევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «Имеди».

რედაქტორი და გამომცემი
მიხ. გურგენიძე.

საჭირო ნივთები ავდრისგან, თოვლისგან და სიცივისგან: მაკინტოშები (ავდარ ჩაუსწეველი წამოსასხმები). ჯრაგები, ტოტსები, სალიჩები, ლვიის ფუფაიკები, შალის ხუჯქები, დრაფი და სხვ.

ინგლისის მაღაზიაში, არტრუნის ქარვასლაში. (10—6)

ინგლისის

მაღაზია

Maison de confiance

შავარეო ნაკი ნაი.—1 მ. 10 კ.	მოსკოვის ნაიხ—1 მ.40 კ.
— — —1—20	— —1—60
— — —1—40	— —1—80
— — —1—60	— —2— „
— — —1—80	— —2—50
საუკეთესო—2— „	— —3— „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კონფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადეიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—29)

დოკტორი მედიცინისა და აკუშერი ი. ბ. მელიკოვი სწამლობს დელაკაცების და ყმაწვილების ავადმყოფობას. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დილით 9½—11 საათამდინ. (3—1)

ინგლისის მაღაზიაში

ზღვის ბალახი ფუთი—2 მ. 40 კ.; ვინც იყიდის ერთად ერთ შეკვრას (9 ფუთამდე) დაეთმობა 2 მ. 20 კ. ფუთი.

იქვე: ფანრები—30 კ-დამ, საჩაიები—35 კ., 100 ნემსი—8 კ., პატაუკი—20 კ., კანფეთები, პარაშოკი (ბორაკს) თეთრეულის სარეცხავად, საექიმო ქალალდი ვატერ-კლოზეტისათვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ. გირვ., მაკინტოშები 6 მანეთიდამ და სხვ. და სხვ. (10—5)

ტფილისის კრუჟოკში

საქველ მოქმედო საქმეებისთვის

დღეს, 21 იანვარს

გამოჩენილი რუსეთის და პრუსიის პრესტიუიტორი

პროფესორი ბეკკერი

გამართავს დიდს და წარჩინებულს წარმოდგენას უკანასკნელად, ოთხს განყოფილებად განსაცვიფრებელს თვალთ-მაქცობას, სპირიტიზმს და მაგნეტიზმს

სხვათა შორის

ანტისპირიტიკული და გიპნტიზიკური სეანსი

და ბოლოს

სტოლების გრუნვა

და სხვ. და სხვ.

ადგილების ფასი წევრებისთვის 50 კაპ. მარცხენა მხარეს; სხვებისთვის 1 რიგ. და 2—2 მ., 3-დამ 7-მდე—1 მ. 50 კ., 6-იდამ 16-მდე—1 მ. 25 კ., დანარჩენები—1 მან.

კერძო პირთ შეუძლიათ დაესწრონ ბეკკერის წარმოდგენებზედ კრუჟოკის „სტარშინის“ დაუკითხავად.

ბილეთები ისყიდება კანდიტერს ქელბერთან.

დასაწყისი 7½ საათზედ. (3—3)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამომყვანი მაკმასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—31)

ახალი ფასი 25 მან.

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატებული იაკობ გოგებაშვილისგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნებით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ჯუკიის სიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათა. ვისაც უდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური. ბრიქუროვის მაღაზიაშიგე ისყიდება ოთველ გვარი სასელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქებიდგან და ადგილებიდგან ოთველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

ბუნების ძარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სასმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, ჯუკიის სიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოცდ-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შეესებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

ინგლისური რკინის კროვატები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანდოსები, კლიტეები, საფანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-დის სარისხისა. (100—7)

Вышла въ свѣтъ книга:

Святѣйшій сѵнодъ при Петрѣ Великомъ въ его отношеніи къ правит. сенату.

Историческое изслѣдованіе Ѳ. Жорданія. Цѣна 1 р. 50 к. За пересылку прилагается 20 к. Продается въ книжномъ магазинѣ Грикурова. (10—9)

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის საგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

ისტორია

შედგენილი რომან ანტიევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

ტაქცია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, ბუქნებში და დატარებით 16 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.

ბამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	4 კ.

ჯვარის-მამის პური:

პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	5 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	4½
მესამის „ „	—1 გირ.	4 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხის	—1 გირ.	10 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	—1 გირ.	10 კ.

ღორის ხორცი:

პირველი ხარისხის	—1 გირ.	10 კ.
მეორის „	—1 გირ.	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Января 1883 г. Типографія Мсликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი